ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 07 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. იგორ გოგოლაძე
3. ვასილ კუკავა
4. გენადი ზარანდია
5. კახა ლატარია
6. ჯემალი ნადარაია
7. კახა მიქაბერიძე
8. მალხაზ ლაგვილავა
9. გენადი ქაძანაია
10. მურმან გელანტია

სხდომას თავმჯდომარეობდა ტ. ალექსანდრია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 07 მარტის N04/507 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები: გაიზარდა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლები 518,5 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები“ (რგფ). მცირდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები 448,3 ათასი ლარი, კერძოდ: 432,4 ათასი ლარით ქვეპროგრამის ,,ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები“ ასიგნება, ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" სუბსიდია, 15,9 ათასი ლარით ქვეპროგრამის ,,ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა“ ასიგნება. გამონთავისუფლებული 448,3 ათასი ლარი და გრანტებიდან მიღებული 518,5 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,, კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 01 00) ასიგნებებზე 448,3 ათასი ლარი; პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებებზე 518,5 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის #15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეგლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ტ. ალექსანდრია